# ო ქ მ ი  #7

## თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2024 წლის 25 დეკემბრის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

**სამეცნიერო საბჭოს წევრები:** თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), თ. ბუჩუკური, ა. ელაშვილი, მ. ელიაშვილი, ი. კიღურაძე, მ. მანია, ა. მესხი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 15 წევრი).

დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი :

1. ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლების ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისთვის საკონკურსო კომისიის შექმნა.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2024 წლის 12 დეკემბერს გამოცხადდა კონკურსი თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლების სამსახურში მისაღებად (*თსუ რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის # 337/01-01 ბრძანება*). კერძოდ, კონკურსი გამოცხადდა შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

**ალგებრის განყოფილება:**
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
**მათემატიკური ლოგიკის განყოფილება:**
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
**გეომეტრიისა და ტოპოლოგიის განყოფილება:**
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული;
**მათემატიკური ანალიზის განყოფილება:**
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული;
**დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილება:**
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული;
**მათემატიკური ფიზიკის განყოფილება:**
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
**თეორიული ფიზიკის განყოფილება:**
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული;
**ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილება:**
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ თსუ რექტორს დასამტკიცებლად წარუდგინოს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია.

**საკონკურსო კომისიის წევრობის კანდიდატებად დასახელდნენ:** თორნიკე ქადეიშვილი, ნუგზარ შავლაყაძე, ალექსანდრე მესხი, მერაბ ელიაშვილი, მიხეილ მანია.

**ს ა კ ი თ ხ ი  დ ა დ გ ა  კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ა ზ ე .** ჩატარდა ღია კენჭისყრა.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 15, წინააღმდეგი - 0.

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

1) წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **თორნიკე ქადეიშვილი** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის გეომეტრიისა და ტოპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

2. **ნუგზარ შავლაყაძე** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

3. **ალექსანდრე მესხი** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

4. **მერაბ ელიაშვილი** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

5. **მიხეილ მანია** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

2) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციაა ზემოთ აღნიშნული საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე იყოს თ. ქადეიშვილი, თავმჯდომარის მოადგილე - ნ. შავლაყაძე, ხოლო კომისიის მდივანი - ა. მესხი.

საბჭოს თავმჯდომარე — თ. ქადეიშვილი

სწავლული მდივანი — ო. ჯოხაძე

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
ANDREA RAZMADZE MATHEMATICAL INSTITUTE